EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

# მეოთხე სექცია

# განჩინება

## საჩივარი N 64987/14
## ინაზი თედლიაშვილი და სხვები
## საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2015 წლის 24 ნოემბრის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

კრჟიშტოფ ვოიტიჩეკი, *თავმჯდომარე,,*
ნონა წოწორია,
გაბრიელ კუცკო სტადლმაიერი, *მოსამართლეები,*
და ფატოშ არაჩი,*სექციის განმწესრიგებელი მოადგილე,*

მხედველობაში მიიღო 2014 წლის 17 სექტემბერს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი,

მხედველობაში მიიღო მოპასუხის მთავრობის მიერ 2015 წლის 3 აპრილს წარმოდგენილი დეკლარაცია, რომელშიც ითხოვდა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან საჩივრის ამორიცხვას, ასევე მომჩივნის პასუხი დეკლარაციაზე,

განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

## ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივნების სია წარმოდგენილია დანართში. ისინი არიან საქართველოს მოქალაქეები და ცხოვრობენ გორში. მათ სასამართლოში წარმოადგენდნენ ქ–ნი ჯ. ევანსი, ქ–ნი ჯ. გავრონი, ბ–ნი ვ. გრიგორიანი, ქ–ნი ნ. ჯომარჯიძე, ბ–ნი ფ. ლიჩი, ქ–ნი კ. ლევინი, ქ–ნი ქ. შუბაშვილი, ქ–ნი თ. დეკანოსიძე და ქ–ნი თ. აბაზაძე, ადვოკატები ადამიანის უფლებათა

მხარდაჭერის ევროპული ცენტრიდან (ლონდონი) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან (თბილისი).

2. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი, ბ-ნი ლ. მესხორაძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან.

3. მხარეთა მიერ წარმოდგენილ საქმესთან დაკავშირებული ფაქტები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს.

4. 2011 წლის 30 აპრილს ბატონი კახაბერ თედლიაშვილი, პირველი და მეორე მომჩივნის შვილი და მესამე მომჩივნის მამა, სამედიცინო დოლბანდით ჩამომხრჩვალი იპოვეს რუსთავის N6 საპყრობილის სამარტოო საკანში ("რუსთავის ციხე"). იგი ამ ციხეში 2008 წლის აგვისტოდან იხდიდა სასჯელს ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული დანაშაულებისთვის, რომელიც ჯამში შეადგენდა ცამეტ წელს და ექვს თვეს.

## A. ფაქტები რომლებიც წინ უძღოდა კ.თედლიაშვილის ციხეში გარდაცვალებას

5. მომჩივნების ვერსიის თანახმად პატიმრის გარდაცვალებას სავარაუდოდ, წინ უძღოდა შემდეგი მოვლენები. 2010 წლის გაზაფხულზე, მ. კ. თედლიაშვილის ურთიერთობები რუსთავის ციხის რამდენიმე დაცვის თანამშრომელთან გაუარესდა. აღსანიშნავია, რომ მისგან თანამშრომლობა ანუ ციხის "ინფორმატორობა" მოითხოვეს. ვინაიდან ბატონმა თედლიაშვილმა უარი თქვა თანამშრომლობაზე, ციხის ოფიცრებმა დაიწყეს მისი დაშინება, ემუქრებოდნენ ძალის გამოყენებით ან/და ასევე მხილებით მის თანამესაკნეებში თითქოს იგი ნამდვილად "ინფორმატორი" იყო.

6. 2010 წლის შემოდგომაზე, როდესაც პირველმა და მეორე მომჩივნებმა მათი შვილი მოინახულეს ციხეში, ამ უკანსკნელმა თქვა რომ ციხის დაცვის თანამშრომლებმა ცემა დაუწყეს (ერთი–ერთი ცემის შედეგად სავარაუდოდ, ფეხი ჰქონდა მოტეხილი). მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტი მოგვიანებით დადასტურდა რუსთავის ციხის ორ სხვა პატიმრის განცხადებით.

7. 2011 წლის იანვრიდან გარდაცვალებამდე ბატონი თედლიაშვილი რეგულარულად ახორციელებდა სატელეფონო ზარებს მის მშობლებთან ციხიდან, გამოხატავს თავის შიშს ციხის თანამშრომლების მიმართ, კერძოდ, ორი პირს ასახელებდა - ბ-ნი

ვ.კ. -ს და ბ-ნი ჯ.ი.-ს. სატელეფონო საუბრებში ბატონი თედლიაშვილი იმეორებდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო და რომ ორ ზემოხსენებულ ციხის თანამშრომელს ციხის დირექტორის ბატონი დ. მ.- ს ხელშეწყობით მისი მოკვლა სურდათ.

8. 2011 წლის 8 აპრილს კ. თედლიაშვილმა პირველად გამოთქვა საჯაროდ თავისი შიში მის სიცოცხლესთან დაკავშირებით ციხის დირექტორის, ბატონი დ. მ. - ს და საქართველოს სახალხო დამცველის მისამართით დაწერილ საჩივარში, რომელშიც კიდევ ერთხელ გაიმეორა მისი კონფლიქტის ყველა დეტალი ციხის დაცვის ორ ოფიცერთან და მოკვლის მუქარა. იგი ითხოვდა მათგან სასწრაფოდ მიეღოთ ყველა საჭირო ზომა ციხეში მისი სიცოცხლის გადასარჩენად.

9. მოგვიანებით, 2011 წლის 11, 12, 13 და 18 აპრილს, პირველმა და მეორე მომჩივანმა ანალოგიური საჩივრები შეიტანეს იუსტიციის მინისტრის, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის სახელზე, ასევე მთავარ პროკურატურაში და საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თამჯდომარის სახელზე თხოვნით, რომ დაეცვათ მათი შვილის სიცოცხლე და კეთილდღეობა რუსთავის ციხეში. ყველა ეს საჩივარი და თხოვნა რეაგირების გარეშე დარჩა.

## B. სისხლის სამართლის გამოძიება

10. 2011 წლის 30 აპრილს, მაშინვე როდესაც ბ-ნი კ. თედლიაშვილი ჩამომხრჩვალი იპოვეს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შიდა საგამოძიებო სამმართველომ ("ციხის საგამოძიებო ერთეული") დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე (სისხლის სამართლის საქმე N073110264). ერთ-ერთი პირველი საგამოძიებო ღონისძიება იყო გვამის სამედიცინო ექსპერტიზა რომელიც სახელმწიფო ექსპერტებმა ჩაატარეს.

11. 2011 წლის 3 მაისს ციხის საგამოძიებო ერთეულმა კიდევ ერთი სისხლის სამართლებრივი გამოძიება დაიწყო ბატონი თედლიაშვილის გარდაცვალების საქმეზე, მის მიმართ ციხის თანამშრომლების მიერ შესაძლო ძალის გადამეტების ფაქტზე (სისხლის სამართლის საქმე N 42118015).

12. 2011 წლის 4 მაისიდან 17 ივნისამდე პერიოდში პირველმა და მეორე მომჩივნებმა მათი შვილის საეჭვო სიკვდილის სწრაფი და ობიექტური გამოძიების მოთხოვნით მიმართვისას არაერთხელ სთხოვეს ციხის საგამოძიებო ერთეულს ზემოთ ხსენებულ ორ გამოძიებასთან დაკავშირებით არსებული საქმის მასალების, მათ შორის ექსპერტიზის შედეგების ასლის მიწოდება.

13. 2011 წლის 20 მაისით და 14 ივლისით დათარიღებული პასუხებით ციხის საგამოძიებო ერთეულმა უარი განაცხადეს საქმის მასალების მიწოდებაზე, იმ მოტივით რომ არც ერთი მომჩივანი არ წარმოადგენდა პროცედურულ მხარეს რომელიმე მიმდინარე სისხლის სამართლებრივ საქმეებზე.

14. 2011 წლის სექტემბერიდან 2012 წლის მარტამდე პერიოდში სახალხო დამცველის აპარატი – მომჩივნის სახელით მოქმედი ორგანო – და მთავარი პროკურატურა მიმოწერას აწარმოებდნენ ბატონი კ. თედლიაშვილის გარდაცვალების საქმეზე მიმდინარე გამოძიების შესახებ. ამ მიმოწერისას გამოვლინდა ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის ორი საქმე N 073110264 და N42118015 ციხის საგამოძიებო ერთეულიდან გადაეცა საქართველოს მთავარ პროკურატურას და გაერთიანდა 2012 წლის 14 აგვისტოს. გამოძიება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული (ადრეულ ეტაპზე იმყოფებოდა), ისე, რომ არ იყო იდენტიფიცირებული არც ერთი ინდივიდუალური ეჭვმიტანილი.

15. 2013 წლის აგვისტოს დასაწყისში პირველი მომჩივანი პროკურატურაში გამოიძახეს და მოწმის რანგში ჩვენება ჩამოართვეს. მან გამომძიებელს ყველაფერი გაუზიარა რაც იცოდა, მის შვილსა და რუსთავის ციხის დაცვის ოფიცრებს ბ-ნი ვ.კ.-ს და ჯ.ი.-ს შორის კონფლიქტის შესახებ.

16. 2013 წლის 6 და 16 სექტემბერს პირველმა და მეორე მომჩივნებმა პროკურატურიდან გამოითხოვეს ინფორმაცია მიმდინარე გამოძიების შესახებ. პროკურორის 2013 წლის 24 სექტემბრით დათარიღებულ პასუხში გაირკვა, რომ მათი შვილის გარდაცვალების შესახებ სისხლის სამართლის საქმე 2012 წლის 16 ოქტომბერს გაერთიანდა სხვა სისხლის სამართლის საქმესთან, რომელიც პროკურატურამ აღძრა რუსთავის ციხის ორი დაცვის თანამშრომლის ბ-ნი ვ.კ.-ს და ბ-ნი ჯ.ი.-ის წინააღმდე პატიმრების სისტემური არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. მომჩივნებმა მოგვიანებით შეიტყვეს, რომ მათ დაზარალებულის სტატუსის არ მიენიჭებათ, რადგან მიმდინარე გამოძიების შედეგები ჯერ არ

მიანიშნებდა გონივრულ ეჭვს მიღმა, რომ მათი შვილი გარდაიცვალა ორი ეჭვმიტანილის მიერ ჩადენილი რაიმე ტიპის არასათანადო მოპყრობის შედეგად.

17. 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის მაისამდე პერიოდში პირველი და მეორე მომჩივანმა არაერთხელ გამოთქვეს პრეტენზია პროკურატურაში დაზარალებულის სტატუსის მიღებისა და გამოძიების პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობის გამო, რომ როგორღაც შეძლებოდათ გავლენის მოხდენა მიმდინარე გამოძიების მიერ ფაქტების გარკვევის აშკარა წარუმატებლობაზე, რომლებიც მათი შვილის საეჭვო სიკვდილს უკავშირდებოდა. მომჩივნებს ამ თხოვნებზე უარი ეთქვათ საოლქო პროკურატურის 2014 წლის 13 მარტით და 19 ივნისით დათარიღებულ წერილებში, რომელშიც ხელისუფლება მუდმივად ახსენებდა მომჩივნებს, რომ მიმდინარე გამოძიების შედეგები არ იძლეოდა ეჭვის საფუძველს, რომ მათი შვილი რუსთავის ციხის ორი თანამშრომლის არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი იყო.

## პრეტენზიები

18. მომჩივნები მოითხოვენ გარდაცვლილი კ.თედლიაშვილის და საკუთარი სახელით კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, ეს დებულება გამოყენებული ცალკე და მე-13 მუხლთან ერთობლიობაში ბ-ნი კ.თედლიაშვილის საეჭვო გარდაცვალებასთან ციხის ორი თანამშრომლის ბ-ნ-ი ვ.კ.-ს და ბ.ნ.-ი ჯ.ი.-ს პირდაპირი კავშირის შესახებ, ან შესაბამისი ორგანოების უუნარობაზე დაეცვათ ბ-ნი კ.თედლიაშვილის სიცოცხლე ციხეში, აგრეთვე ეფექტური გამოძიების არარსებობის შესახებ.

## სამართალი

19. სასამართლომ 2014 წლის 1 დეკემბერს შეატყობინა მთავრობას საჩივრის შესახებ.

## A. მთავრობის ცალმხრივი დეკლარაცია

20. 2015 წლის 3 აპრილით დათარიღებული წერილით მთავრობამ შეატყობინა სასამართლოს, რომ სურდათ ცალმხრივი დეკლარაციის გაკეთება საჩივარში დასმული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, აგრეთვე ისინი მოითხოვდნენ საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვას კონვენციის 37 მუხლის შესაბამისად.

21. დეკლარაცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

> "მთავრობა სურს წუხილით დააფიქსიროს საკუთარი აღიარება კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევასთან დაკავშირებით, ბატონი კახაბერ თედლიაშვილის სიკვდილის გამოძიებაში გამოვლენილი ხარვეზების გამო.
>
> მთავრობა აღნიშნავს, რომ წინამდებარე დეკლარაციის ფარგლებში ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს საჩივარში დასმული საკითხის ეფექტური გამოძიება, კომპეტენტური მაღალი რანგის პროკურორის ინტენსიური კონტროლის პირობებში და სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპების სრული დაცვით რათა დადგინდეს, სხვა საკითხებთან ერთად, მიიღეს თუ არა შესაბამისმა ორგანოებმა ყველა საჭირო ზომა ბატონი კახაბერ თედლიაშვილის სიცოცხლის დასაცავად და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ციხეში.
>
> ზემოთ ხსენებული მოსაზრებების და საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით მთავრობა მზად არის გადაიხადოს მთლიანი თანხა 10,000 (ათი ათასი) ევრო ნებისმიერი მორალური ან მატერიალური ზიანის და ყველა ხარჯისა და დანახარჯის ანაზღაურების სახით, რომელიც შეიძლება მომჩივანს დაეკისროს. აღნიშნული თანხა კონვერტირებულ უნდა იქნას მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად და განთავისუფლებული იქნება ნებისმიერი გადასახადისგან, რომელიც შეიძლება მომჩივანს დაეკისროს. გადახდა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების მთავრობისთვის შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ გადახდა არ განხორციელდა ზემოხსენებულ 3 თვის ვადაში, გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი..."

22. 2015 წლის 13 ივლისით დათარიღებული წერილით მომჩივანებმა განაცხადეს რომ არ აკმაყოფილებთ ცალმხრივი დეკლარაციის პირობები შემდეგი მიზეზების გამო. ისინი მიესალმებიან მთავრობის მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის აღიარებას ბატონი კახაბერ თედლიაშვილის გარდაცვალების ფაქტის არაეფექტური გამოძიების გამო, ამავე

დროს გამოხატეს უკმაყოფილება მე-2 მუხლის არსებით ნაწილში დარღვევის მკაფიო აღიარების არარსებობის გამო. იმ მოსაზრების მხარდაჭერისას, რომ ციხეში ბატონი თედლიაშვილის საეჭვო გარდაცვალების მიზეზი ციხის ორი თანამშრომლის კრიმინალური ქცევა იყო, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა იკისროს პირდაპირი, არსებითი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულზე. მათ ასევე მოითხოვეს, რომ მთავრობამ უნდა გაზარდოს გადასახდელი კომპენსაციის თანხა.

23. სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის 37–ე მუხლის თანახმად, მას სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია გადაწყვიტოს განსახილველ საქმეთა სიიდან საჩივრის ამორიცხვა, თუ კი გარემოებას მივყავართ აღნიშნული მუხლის 1–ელი პარაგრაფის (a), (b) ან (c) პუნქტებში განსაზღვრული დასკვნებიდან ერთ–ერთ დასკვნამდე. მუხლი 37 § 1 (c) უფლებას აძლევს სასამართლოს სიიდან ამოიღოს საჩივარი, თუ კი:

"სასამართლოს მიერ დადგენილი რაიმე სხვა მიზეზის გამო გაუმართლებელია საჩივრის განხილვის გაგრძელება"

24. იგი ასევე მიუთითებს, რომ მუხლი 37 § 1 (c) შესაბამისად გარკვეულ გარემოებებში სასამართლოს შეუძლია განსახილველ საქმეთა ნუსხიდან საჩივრის ამორიცხვა მოპასუხე მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, მაშინაც კი თუ მომჩივანებს საქმის განხილვის გაგრძელება სურთ (იხ. *თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ* (dec.), no. 46055/06, 16 ოქტომბერი 2012).

25. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მას შეუძლია მიიღოს ცალმხრივი დეკლარაცია, წინასწარი მორიგების არარსებობის შემთხვევაშიც კი (*იხ. იეჰოვას მოწმეთა კავშირი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ* (dec.), no. 72874/01, §§ 23-30, 21 აპრილი 2015).

26. ამ მიზნით სასამართლო ყურადღებით განიხილავს მოპასუხე მთავრობის დეკლარაციას წინამდებარე საქმეზე პრეცედენტული სამართლის პრინციპების კუთხით, კერძოდ *ტაჰსინ აკარის* განჩინება*(ტაჰსინ აკარი თურქეთის წინააღმდეგ* (წინასწარი საკითხები) [GC], no. 26307/95, §§ 75-77, ECHR 2003-VI; *WAZA Spółka z o.o. პოლონეთის წინააღმდეგ.* (dec.), no. 11602/02, 26 ივნისი 2007; და *Sulwińska პოლონეთის წინააღმდეგ* (dec.), no. 28953/03, 18 სექტემბერი 2007).

27. მომჩივნების არგუმენტთან მიმართებაში სასამართლოს არ მიაჩნია ისინი საფუძვლიან პრეტენზიებად, რომლებიც გადაწონიან მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის მნიშვნელობას. მოსარჩელეთა განცხადება, რომ ციხის ოფიცრებს კავშირი აქვთ ბატონი თედლიაშვილის სიცოცხლის ხელყოფასთან, ამ ეტაპზე, მხოლოდ ვარაუდია, რომელიც მოითხოვს კომპეტენტური და ობიექტური გამომძიებლების მხრიდან ინტენსიურ კონტროლს ეროვნულ დონეზე. ამგვარად, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, მთავრობის მიერ კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევის აღიარება და ვალდებულება გააგრძელოს ეფექტური გამოძიება ეროვნულ დონეზე საკმარისად რაციონალური და სრულია იმისათვის რომ მოიცვას საკითხის არსი და აღარ დაუშვას, რომ მომჩივანმა ამტკიცოს, რომ ამ დებულების განგრძობადი დარღვევის მსხვერპლია. (იხ. *mutatis mutandis*, და ახლანდელი *Prądzyński პოლონეთის წინააღმდეგ* (dec.), no. 49284/10, 25 მარტი 2014, ასევე შეადარეთ *დანელია საქართველოს წინააღმდეგ* , no. 68622/01, §§ 40-46, 17 ოქტომბერი 2006, სადაც, ეროვნულ დონეზე მსგავსი მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის გამოძიების არარსებობის გამო, სასამართლომ ვერ შეძლო საჩივრის შეფასება კონვენციის მე-3 მუხლის არსებით ნაწილში).

28. სასამართლომ დაამკვიდრა მთელი რიგი (მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ) საჩივრების განხილვის შედეგად სახელმწიფო საპატიმრო დაწესებულებებში მყოფი პირების საეჭვო გარდაცვალებასთან დაკავშირებით მისი პრაქტიკა (იხილეთ, მაგალითად *ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ,* no. 35403/06, §§ 71-95, 15 თებერვალი 2011; და *მოისეევი პოლონეთის წინააღმდეგ*, no. 11818/02, § 65, 24 მარტი 2009). სასამართლო კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ასეთ სიტუაციაში, კონვენციის მე-2 მუხლის ფუნდამენტური ბუნება მოითხოვს, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული ფორმის ეფექტური ოფიციალური გამოძიება პატიმრის გარდაცვალების მიზეზის დასადგენად (იხ. *ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ, (ზემოთ)* §§ 94 და 95; იხ. ასევე *მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ*, no. 35254/07, §§ 87-89, 22 ნოემბერი 2011).

29. სასამართლომ ყურადღებით განიხილა მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის პირობები. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მთავრობის ვალდებულებას ჩაატაროს

ციხეში პატიმრის გარდაცვალების მიზეზის გამოძიება. გარდა ამისა, სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობა, რომელიც მთავრობამ მომჩივნებს შესთავაზა მთლიანობაში სრულად ადეკვატურია მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

30. ზემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასამართლო დარწმუნებულია, რომ გაუმართლებელია საჩივრის განხილვის გაგრძელება (მუხლი 37 § 1 (c)). გარდა ამისა, ამ საქმის საგანთან დაკავშირებით არსებული პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით სასამართლო დარწმუნებულია, რომ კონვენციაში და მის ოქმებში განსაზღვრული ადამიანის უფლებების პატივისცემა არ მოითხოვს მისგან საჩივრის განხილვის გაგრძელებას (მუხლი 37 § 1).

31. ბოლოს, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა არ შეასრულებს ცალმხრივი დეკლარაციის პირობებს, საჩივარი აღდგება განსახილველ საქმეთა ნუსხაში კონვენციის 37–ე მუხლის § 2 შესაბამისად (იხ. *იოსიპოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ* (dec.), # 18369/07, 4 მარტი 2008).

## B. საჩივრის დარჩენილი ნაწილი

32. მომჩივნები პრეტენზიას გამოთქვამდნენ ბ-ნი კ. თედლიაშვილის საეჭვო გარდაცვალების საქმეზე არაეფექტური გამოძიების ჩატარების გამო კონვენციის მე-13 მუხლიდან გამომდინარე და მოითხოვდნენ, რომ ეს დებულება გამოყენებულ იქნეს მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

33. ითვალისწინებს მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის პირობებს კერძოდ, მის გამოკვეთილ ვალდებულებას ჩაატაროს ეფექტური გამოძიება, სასამართლო მიიჩნევს, რომ იგივე საკითხი არ მოითხოვს მეორე, ცალკე განხილვას კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად.

34. სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნების საჩივარი კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე, აშკარად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35 მუხლის §§ 3 და 4 შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ ერთხმად,

*გაითვალისწინა* მოპასუხე მთავრობის დეკლარაციის პირობები კონვენციის მე–2 მუხლთან დაკავშირებით და მათში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მეთოდები, და;

*მიიღო გადაწყვეტილება,* საჩივრის ნაწილი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხოს, კონვენციის 37-ე § 1 (c) მუხლის შესაბამისად;

საჩივრის დარჩენილ ნაწილს დაუშვებლად აცხადებს.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე, წერილობითი შეტყობინება გაიგზავნა 2015 წლის 17 დეკემბერს.

ფატოშ არაჩი
სექციის განმწესრიგებელი
მოადგილე

კრჟიშტოფ ვოიტიჩეკი,
*თავმჯდომარე*

დანართი

**1.** ქ–ნი ინაზი თედლიაშვილი („პირველი მომჩივანი“), დაბადებული 1967 წლის 14 ოქტომბერს.

**2.** ბ–ნი ბადრი თედლიაშვილი (“მეორე მომჩივანი”) დაბადებული 1963 წლის 9 ივნისს .

**3.** ქ–ნი ინა ლოცულაშვილი (“მესამე მომჩივანი”) დაბადებული 2004 წლის 11 მარტს.